



ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს,  
აზიის განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს,  
ევროპის საინვესტიციო ბანკის დირექტორთა საბჭოს,  
გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო  
ბანკის (KfW) დირექტორთა საბჭოს  
საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“

### შ ი მ ა რ თ ვ ა

ჩვენ, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“:

ვაცნობიერებთ, რა ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის და ენერგეტიკული საჭიროებების შეფასების აუცილებლობას,

ვაცხადებთ, რომ ნებისმიერი ენერგეტიკული პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ სტრატეგიული დაგეგმვის და იმ საჭიროებების დადგენის შემდეგ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებს შეესაბამება,

მოვითხოვთ, რომ შეიცვალოს ბოლო წლებში დამკვიდრებული ენერგეტიკული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პრაქტიკა, კერძოდ, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხების უზულებელყოფა ბუნებრივი რესურსების (წყალი, ქვანახშირი) ათვისებისას,

ვითვალისწინებთ, რომ საქართველოს მთავრობის შესაბამისი ინსტიტუტები ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას ვერ უზრუნველყოფენ ყველა დაინტერესებული პირისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას, აგრეთვე გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით ყველაზე მისაღები ალტერნატივების განხილვის და შესაბამის პროექტებთან დაკავშირებული სხვა რისკების შეფასების შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ, თქვენ მიერ ენერგეტიკული პროექტების დაფინანსების საკითხის განხილვა-დამტკიცებამდე უზრუნველყოთ, რომ კვალიფიციურმა ორგანომ მოამზადოს დასვეწა გარემოზე კონკრეტული ენერგეტიკული ობიექტის მშენებლობის ზემოქმედების შესახებ, რათა ამ საკითხების განხილვას, სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას და შემდგომ მათ შესრულებას მყარი პროფესიული საფუძველი ჰქონდეს და, ამასთან ერთად, უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობის სტანდარტის დაცვა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პატივისცემით,

ირაკლი ალასანია

თავმჯდომარე

ი.ქავთავაძის გამზ. #7, თბილისი 0179, საქართველო.  
ტელ: +995 595 008 169, fax: 205287526  
#7 I. Chavchavadze ave., Tbilisi 0179, Georgia,  
Phone: +995 595 008 169, ID Code: 205287526